პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 58 (12266)

პარასკევი, 9 მარტი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1962 წლის 8 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გუმჯობესების დარგში“.

პლენუმის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: შ. დ. კულაკოვი (სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ე. პისარევი (არაშავნიადაგიანი ზონის ცენტრალური რაიონების სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების სელექციის ლაბორატორიის გამგე), ლ. ი. ფლორენტიევი (სკკპ კოსტრომის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ს. პ. პავლოვი (სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ხ. დ. ხიტროვი (სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ს. ფედოროვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ი. ვ. ბიჩევი (სკკპ ნოვაია ალექსანდროვსკაიას რაიკომის პირველი მდივანი, სტავროპოლის წარ.), ვ. ი. ტარნოვი (სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ტ. კომიახოვი (უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ვ. ბრიშინი (საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე), ნ. ნ. [illegible] (სკკპ ამურის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ა. ა. კოპაევი (სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი), მ. ს. სინიცა (უკრაინის კომპარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ამხანაგებო! ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნაჩვენებია ის უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც ჩვენს სახალხო მეურნეობაში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელების შედეგად.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამამ, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, პარტიისა და საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი წარმართა იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხები, რომლებსაც ამ პლენუმზე განვიხილავთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამითა და ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით წამოყენებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხებია.

ზონალური თათბირები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ნიკიტა სერგის-ძის გამოსვლები ჩვენთვის დიდი სკოლა იყო, კრიტიკულად გადაგვასინჯვინა მიწათმოქმედების სისტემა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის მეთოდები.

როგორც ახლა ჩანს, სოფლის მეურნეობას დიდი ზიანი მოუტანა ნათესბალახიანმა სისტემამ, რომელიც ჩვენმა მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უცილობელ კანონად აქციეს და რომელიც მიწათმოქმედების ერთადერთ საფუძვლად იყო მიჩნეული. ეს სისტემა რეკომენდებული იყო ფართოდ დასანერგავად სუბტროპიკული რაიონებიდან მაღალი მთის ზონებამდე, განურჩევლად ჰავის და ნიადაგის პირობებისა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მცირემიწიანობის პირობებშიც კი, სადაც რწყვა ნაწილობრივ წარმოებს, სითბოს სიუხვეა და წელიწადში ორ-ორი მოსავლის მიღება შეიძლება, ჯერ კიდევ შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს სახნავის 17 პროცენტზე მეტი ეკავა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადასინჯეს ნათესების სტრუქტურა, ამასთან მთლიანად არ გამოურიცხავთ თესლბრუნვიდან ბალახის თესვა თივის ფქვილის წარმოებისათვის და მათი თესვა მთის ფერდობებზე, სადაც საჭიროა მრავალწლიანი ბალახების თესვა ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, და განახორციელეს ღონისძიებანი, რათა გაადიდონ სიმინდის, პარკოსნებისა და მაქრის ჭარხლის, ესე იგი იმ კულტურების ნათესები, რომლებიც ყველაზე ეფექტიანია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ჩვენ წელს გვინდა დავთესოთ ბარდა ჩვენს პირობებში შედარებით დიდ ფართობზე — 80 ათას ჰექტარზე. გვაქვს ორი ათასი ტონა ბარდის თესლი. თებერვალსა და მარტში უკვე დავთესეთ 8 ათასი ჰექტარი ბარდა. თუ საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერ ბარდას მოვიყვანთ და მოსავალს ივნის-ივლისში ავიღებთ, მივიღებთ 12 ათას ტონა თესლს, რომლითაც შეიძლება მიმდინარე წელს დავთესოთ დაახლოებით 70 ათასი ჰექტარი. ამასთან ეს ნათესები სიმინდის წინამორბედი იქნება, ან იწარმოებს სასილოსე სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ. ამრიგად, ჩვენ შევძლებთ ორი მოსავალი მოვიყვანოთ დაახლოებით 70-80 ათას ჰექტარზე.

ნათესბალახიანი სისტემის პრინციპული, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა, მოცემული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, და ამ სისტემის ბატონობის შედეგების აღმოფხვრა სოფლის მეურნეობის აღმავლობის მძლავრი სტიმული იქნება.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შესაძლებლობანი ნაკლები როდია, ორივე მრეწველობაში, და რომ ამ შესაძლებლობათა გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზებულობის დონეზე, ხელმძღვანელობის დონეზე. თუ მრეწველობაში ზუსტად არის დაცული განსაზღვრული ტექნოლოგიური კანონები და ამ კანონებიდან გადახვევა საგანგებო შემთხვევად არის მიჩნეული, ზოგჯერ კი დანაშაულად ითვლება და პარტიული და სამეურნეო ორგანოების განხილვის საგანი ხდება, და იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ გადახვევებში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერებით, მოწინავე გამოცდილებით შემუშავებული აგროტექნიკური წესები არსებითად სავალდებულო არ არის მეტი წილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებამ ცხადყო, რომ სადაც აგროტექნიკური მოთხოვნები კანონია და მტკიცედ სრულდება, — იქ წარმოების მაღალი დონე გვაქვს. სწორედ მტკიცე საწარმოო დისციპლინის უქონლობით აიხსნება ის, რომ ერთ კოლმეურნეობაში დიდ მოსავალს იღებენ, მეორეში კი — მცირეს. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონი სუბტროპიკული რაიონია, მაგრამ იქ კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან ჰექტარზე მოკრიფეს 3,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა მეზობელ, კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მხოლოდ 2,5 ტონა. შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი.

ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობებია, მათ მიწის უდიდესი მასივები აქვთ და მაღალ ტექნიკურ საფუძველს ემყარებიან. სოფლის მეურნეობას აქვს დიდი სატრაქტორო პარკი, კომბაინები და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა; სოფლის მეურნეობაში შრომობს კვალიფიციურ სპეციალისტთა არმია, ესე იგი ყველა პირობაა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისათვის ინდუსტრიულ საფუძველზე.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით დროზე და სავსებით სწორად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შეიცვალოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემა, რათა განხორციელდეს კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის წარმოების მართვა, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოქმედებდეს განსაზღვრული საწარმოო, აგრონომიული კანონები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოეთათბირა ფართო პარტიულ და სამეურნეო აქტივს ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ დაყენებულ საკითხებზე. ჩვენ სავსებით და მთლიანად ვიწონებთ შემოტანილ წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების კომიტეტი და სამინისტრო, აგრეთვე კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის წარმოებისა და დამზადების ტერიტორიული სამმართველობები. ახალი სისტემის განხორციელება აღმოფხვრის „სასოფლო - სამეურნეო წარმოებისა და თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ხელმძღვანელობის კანცელარიულ სტილს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, როცა ვეთათბირებოდით რაიონული და საოლქო კომიტეტების მდივნებს, საბჭოთა აქტივს, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, ჩვენ ჯერ იმ აზრისა ვიყავით, რომ უნდა შეიქმნას სამმართველოები რაიონული მასშტაბით. ასეთ აზრს ემხრობოდნენ მთელი რიგი რაიკომების მდივნებიც. ჩვენ სწორედ ასე მოვახსენეთ თათბირს და ვთქვით, რომ ვაყენებთ ორ ვარიანტს — სარაიონთაშორისო და რაიონულ სამმართველოებს. ნიკიტა სერგის-ძემ გვითხრა: მოიფიქრეთ, ნახეთ, ითათბირეთ, როგორც სჯობდეს, ისე გააკეთეთო. მართლაც, როცა მოვიფიქრეთ, როგორც საჭიროა, გამოვიანგარიშეთ, დავრწმუნდით, რომ სარაიონთაშორისო ორგანიზაციები უკეთესი იქნება. ჩვენც ასევე გადავწყვიტეთ, რასაც კიდევაც მოვახსენებთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. რესპუბლიკაში სულ გვექნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 16 ასეთი სარაიონთაშორისო სამმართველო. შეიქმნება სამინისტროები ორ ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამმართველო — ავტონომიურ ოლქში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო უნდა განლაგდეს ერთ-ერთ რაიონში, საიდანაც იგი უკეთ უხელმძღვანელებს და წარმართავს ყველა დაქვემდებარებულ რაიონს. ვფიქრობთ, რომ ყველა ინსპექტორი — ორგანიზატორი იმ კოლმეურნეობებში უნდა იყოს, რომლებსაც მათ მიუჩენენ. თუ სამმართველოს ხელმძღვანელი გამოიძახებს ან ეწვევა მათ, ეს სწორი იქნება, მაგრამ თუ ისინი ყოველდღე იძულებული გახდებიან იარონ კოლმეურნეობებში, ამას დიდი ზედმეტი დრო დასჭირდება. ინსპექტორ-ორგანიზატორი, ან უმჯობესია ვუწოდოთ მას პასუხისმგებელი ორგანიზატორი, მუდამ უნდა იყოს კოლმეურნეობებში, ცხოვრობდეს ერთ-ერთი კოლმეურნეობის ტერიტორიაზე და იქიდან მხოლოდ მაშინ მიდიოდეს, როცა სამსახურის საქმეებზე გამოუძახებენ.

სარაიონთაშორისო ორგანიზაციების შექმნა საშუალებას მოგვცემს უფრო ნაყოფიერად, უკეთ გამოვიყენოთ კვალიფიციური კადრები, მატერიალური რესურსები, დახმარება გავუწიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. დასამალავი არ არის, რომ ზოგჯერ რაიონის ვიწრო ადგილობრივი ინტერესები არ ეთანხმება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ტერიტორიული სამმართველოების შექმნა, რომლებშიც იქნებიან რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ან პარტიის საოლქო კომიტეტის პარტორგები, როდი აცილებს პარტიის რაიონული კომიტეტების როლს, როდი ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან რაიონში საქმის ვითარებისათვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული მდგომარეობისათვის. პარტიის რაიონულ კომიტეტებს რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის აღმავლობაში დიდ დახმარებას გაუწევენ სარაიონთაშორისო სამმართველოები. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად გაიგებენ ისინი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და როგორ შეძლებთ ჩვენ მოვაწყოთ და წარვმართოთ მათი შეთანხმებული მუშაობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ტერიტორიულ სამმართველოებში, რომლებიც ახლა იქმნება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს გაგზავნოს მომზადებული სპეციალისტები, ორგანიზატორული უნარისა და ხელმძღვანელობის ნებისყოფის მქონე პარტიული მუშაკები.

უკანასკნელ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისათვის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი საქმიანი თვისებებით ჯერ კიდევ არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს, არ შესწევს უნარი სათანადოდ უხელმძღვანელოს მეურნეობას.

ტერიტორიული სამმართველოების შექმნასთან ერთად ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ხელმძღვანელი კადრების შერჩევას უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ისინი, რადგანაც საქმის წარმატება უშუალოდ წარმოების სფეროში წყდება.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდება კომუნისტების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ჩვენი ახალგაზრდობისადმი — მთელი თავგანთქმა ენერგია, თავიანთი ცოდნა, თავიანთი უნარი მოახმაროონ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საყოველთაო-სახალხო საქმეს, — მხურვალე გამოხმაურებას პოვებს როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც.

ტერიტორიულ სამმართველოებთან საბჭოების შექმნა დიდად დაეხმარება სარაიონთაშორისო სამმართველოს ხელმძღვანელობას სასოფლო-სამეურნეო საკარგულების, ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენებაში, შრომის ორგანიზაციაში, მოწინავე გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გავრცელებაში, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებაში.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ჩვენი კადრები ხშირად კონკრეტულად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას.

ნიკიტა სერგის-ძეს არაერთხელ მიუქცევია ჩვენი ყურადღება იმისათვის, რომ საჭიროა ვანგარიშობდეთ კაპიკს, მომჭირნეობით, ეკონომიურად ვუძღვებოდეთ მეურნეობას. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ ისევ ნაკლებრენტაბელურია, სახელმწიფოს წინაშე დიდი დავალიანება აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდია წარმოების ხარჯები, დიდი სახსრები იხარჯება უნაყოფოდ, არაპირდაპირი მიზნებისათვის, არ არის მტკიცე ფინანსური კონტროლი. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი, როცა საკოლმეურნეო სახსრები ჩელგაშლილად, კოლმეურნეობათა ინტერესების გაუთვალისწინებლად იხარჯება. არსებული წესის შესაბამისად სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ კოლმეურნეობებში ისეთსავე კონტროლს ფინანსური დისციპლინის დაცვისადმი, როგორსაც საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში. ჩვენი აზრით, უნდა ამაღლდეს სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებათა როლი, მიენიჭოთ მათ უფლება — არ მიიღონ გადასახდელად კოლმეურნეობათა ანგარიშები იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც მათი საწარმოო-საფინანსო გეგმები არ ითვალისწინებენ.

მომწიფდა აგრეთვე საჭიროება — ამაღლდეს იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური სტიმულირება, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ სახელმწიფოსთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმებს. მატერიალური დაინტერესება უნდა იყოს მძლავრი ბერკეტი, რათა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

მინდა გამოვთქვა კიდევ რამდენიმე შენიშვნა და წინადადება.

ჩვენი ქვეყნის მთის რაიონებში ჯერ კიდევ ძირითადად გამწევ პირუტყვს იყენებენ. იმის გამო, რომ მთის რაიონებში სპეციალური იარაღები არა აქვთ, ნიადაგის დამუშავება პრიმიტიული იარაღებით წარმოებს. თუ ჩვენი ქვეყნის ბარის რაიონებში ხვნისა და ზოგიერთი სხვა სამუშაოს მექანიზაციის დონე ამჟამად 85-90 პროცენტს აღწევს, მთის პირობებში ეს დონე 10-15 პროცენტს არ აღემატება, ზოგან კი ამაზე ნაკლებიც არის. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა მთის რაიონებში თუმცა მიწის შედარებით პატარა ნაკვეთებზე წარმოებს, მაგრამ ამ კულტურების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია.

ჯერ კიდევ 1957 წელს ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშაკთა წინაშე დაისახა ამოცანა — გამოეშვათ ციცაბო ფერდობის დტ-57 ტრაქტორების საცდელი სერია. მაგრამ ეს დავალება არ შესრულებულა, თუმცა ამ ტრაქტორის გუთნები საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში მიიღეს. კოლმეურნეობებმა სპეციალური სამთო გუთნები შეიძინეს, ტრაქტორები კი დღემდე არა აქვთ.

საქართველოში არის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა „რიონი“, რომლის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ციცაბო ფერდობის დტ-57 ტრაქტორის წარმოების ქარხანა. ლიპეცკისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნებთან კოოპერაციით ქარხანა „რიონი“ უახლოეს ხანში შეძლებს დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მთის ყველა რაიონის მოთხოვნილებანი ციცაბო ფერდობის ტრაქტორებზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებას, რომელიც დადებითად ეკიდება ამას, და ვთხოვთ მოეწყოს დტ-57 ტრაქტორის წარმოება ქარხანა „რიონში“.

ამჟამად მრეწველობა არ უშვებს 1,5-2 მეტრი მწკრივთაშორისებიანი ვენახების დასამუშავებელ ტრაქტორებს. ხარკოვისა და ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნების მუშაკებმა შეუწყნარებლად გააჭიანურეს ვენახების ვიწრომწკრივა ტრაქტორის შემუშავება. ლიპეცკის ქარხანა არ დაელოდა ამ ტრაქტორის წარმოების შესახებ საკითხის გადაჭრას და 1962 წელს, ჩვენი აზრით, ნაადრევად შეწყვიტა კდ-35 ტრაქტორის წარმოება. აი უკვე მესამე წელია, რაც საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების მევენახეობის რაიონები ამ ტრაქტორს ვერ იღებენ.

სამთო მიწათმოქმედების კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების სისტემა უკიდურესად ნელა მუშავდება და იქმნება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ“ ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ საჭიროა გადიდდეს მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების წარმოება. საქართველოში არის რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. ჩვენი გამოანგარიშებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გადიდდეს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრე შარდოვანას წარმოებისათვის ამიაკის გამოყენებითაც. ამ საკითხის გადასაჭრელად ქარხანაში ყველა პირობაა: ნედლეული, ენერგეტიკა, კვალიფიციური კადრები. აზოტის მრეწველობის ინსტიტუტის მონაცემებით, ქარხნის საწარმოო სიმძლავრის გადიდება შეიძლება განხორციელდეს 1,5-2 წლით უფრო ადრე და 20 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე ახალი ქარხნის მშენებლობა.

ერთი შენიშვნა: მე მგონია, რაიონული გაზეთები უნდა დარჩეს პარტიის რაიკომებთან. ცხოვრება, მუშაობა, ვითარება გვიჩვენებს, და თუ საჭირო იქნება, ეს შეიძლება ყოველთვის გადაიჭრას ხელახლა.

ამხანაგებო, ეს პლენუმი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პარტიის ისტორიაში. აქ წყდება ძირეული საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, იქმნება პირობები, რათა უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს საბჭოთა ხალხისათვის.

ჩვენ ნათლად ვხედავთ სიძნელეებს, რომლებიც უნდა დაძლიოთ, რათა უმოკლეს ვადაში განვახორციელოთ ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ემყარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დიად წინასწარდასახულობებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი ხალხის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის საქმე

საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს

ახალი სიმაღლეებისაკენ

ფუალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გულდასმით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მუშაობას. პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ სოფლად ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა ჯიმშერიანმა განაცხადა:

— ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში ღრმად და ყოველმხრივ განზოგადებულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის გამოცდილება. გამოვლენებულია სოფლის მეურნეობის დაუშრეტელი რეზერვები, დასახულია მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. პარტია მოგვიწოდებს ვამრავლოთ ჩვენი შრომითი წარმატებები, შემდგომ გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გმირული შრომით ავიღოთ ახალი სიმაღლეები.

ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან არაელსაყრელი ამინდების მიუხედავად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქტები მიიღო, ვიდრე 1960 წელს. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობანი გაცილებით დიდია.

გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე წელს სიმინდის ნათესების საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი მარცვლად. მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, მსხმოიარე ნარგავების მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოთ 35 ცენტნერი ხილი. თვითეულ ძროხაზე მივიღოთ სულ მცირე 2.000 კილოგრამი რძე.

სოფლის მშრომელები გამოთქვამენ მზადყოფნას მთელი ძალები მოახმარონ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას.

მშრომელთა გულისთქმა

თელავი. (საკ. კორ.). ალაზნის გელზე ზამთარმა ფარხმალი დაყარა, გუდანაბადი აიკრა და კავკასიონის მწვერვალებს შეაფარა თავი. თვალუწვდენელ ზვრებში, ხეხილის ბაღებში, მინდორველად კოლმეურნეთა ხალისიანი შრომაა გაჩაღებული, შვიდწლედის მეოთხე წლის მოსავლის მტკიცე საფუძველი ეყრება.

ამ დღეებში კოლმეურნეთა გულისყური მიპყრობილია ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვისაკენ. ქალსა თუ კაცს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას აინტერესებს ის საკითხები, რომლებზეც მსჯელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი.

სანიორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მარგალიტაშვილმა განაცხადა:

— ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში თქვა ის, რაც კოლმეურნეთა გულში იყო. მზის სინათლეზე გამოიტანა ნაკლოვანებები, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინსვლას აფერხებდნენ. ჩვენი კოლმეურნეობა რაიონში თითქმის ყველა დარგში პირველობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები არ გვქონდეს. შარშან თვითეულ ძროხაზე 1.374 ლიტრი რძე მივიღეთ. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა. მიმდინარე წელს 2.000 ლიტრსაც ან დაჯერდებით. შარშანდელთან შედარებით ხორცის წარმოებას 20 პროცენტით გავადიდებთ, თვითეულ ჰექტარ ვენახიდან 100 ცენტნერ ყურძენს მოკრიფოთ.

— ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში, — თქვა რუსანპირის კოლმეურნეობის მწველავმა ანა კობაიძემ, — გვიჩვენა გზები და საშუალებანი, რითაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს მივაღწევთ. თვითეულ საფურაძე ძროხაზე 3.000 ლიტრზე მეტი რძე — ეს იქნება ჩვენი პასუხი პარტიის დიდ ზრუნვაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების პასუხად გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აურის, ვარდისუბნის, ფშავლისა და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

ᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ დღეებია სოფლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ ახალი შრომითი აღტაცება გამოიწვია მშრომელებში. ისინი დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ ამ ისტორიულ მოხსენებას, რომელშიც ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გზებია დასახული.

პლენუმის მუშაობის დღეებში სამგორის რაიონის კრწანისის სასწავლო-საცდელმა მეურნეობამ ხორცისა და რძის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა.

სურათზე: მეურნეობის ზოოტექნიკოსი თ. იოსელიანი მწველავებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ტექსტს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდი შრომითი აღმავლობა

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, — ამბობს საგარეჯოს რაიონის არტელ „განთიადის“ კოლმეურნე ა. ოქრომჭედლიშვილი, — ყველა ჩვენგანი აღაფრთოვანა. მოხსენება გამსჭვალულია პარტიის ზრუნვით კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებისათვის, ზრუნვით ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საკუთარი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა კოლმეურნეობა „განთიადში“ და რაიონის სხვა მეურნეობებში. ბაკურიანის ბრიგადამ დაამთავრა მზესუმზირას თესვა, ითესება ბარდა, რომელიც დაიკავებს 1.200 ჰექტარს, დიდდება სიმინდის ფართობი. სიმინდის დასათესად ყველგან მზად არიან.

დიდება საბჭოთა ქალებს!

8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

ᲥᲐᲚᲗᲐ საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ქალაქ თბილისის ქალთა აქტივის საზეიმო კრება, რომელიც 8 მარტს გაიმართა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ დ. ბ. სხურუა, ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი რ. ი. ფარუიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. კვაშაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ს. კ. ჩხარტიშვილი, ე. ა. სალუქვაძე.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გრიგალაშვილმა.

სიტყვა ეძლევა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მჭედელს ც. კვირიკაშვილს. მან მხურვალედ მიულოცა შეკრებილთ დღესასწაული და თქვა, რომ საბჭოთა ქალები კომუნისტური შრომისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრების პირველ რიგებში არიან.

ტრიბუნაზეა ქალაქის პირველი საბავშვო საავადმყოფოს ექიმი ლ. ლაშვილი. იგი ლაპარაკობს იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ქალთა და ბავშვთა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

7 მარტს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მისი მონაწილენი განხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის „მოხსენებას „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეჟავნაძე.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმ მიმდინარეობს იმ დღეებში, რომლებიც წინ უძღვის საგაზაფხულო თესვას, თქვა სკკპ სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. ა. აბრასიმოვმა.** წელს თესვა იწარმოებს მიწათმოქმედების ნათესბალახიან სისტემაზე ხელის აღების პირობებში. ეს ღონისძიება გადატრიალებას მოახდენს მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში. იგი მოასწავებს მოძველებული, მავნე ცოტრწმენების მარცხს, ახლის, პროგრესულის გამარჯვებას.

ჩვენ მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებს იმის შესახებ, რომ უნდა გარდაიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვა. ეს დებულებები შეესაბამება სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპს.

სმოლენსკის ოლქში, ამბობს შემდეგ ორატორი, მნიშვნელოვნად იზრდება სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარკოსანი კულტურების ნათესები, ხდება ერთწლიანი ბალახების ნათესების სრული ლიკვიდაცია და ბევრად მცირდება მრავალწლიანი ბალახების ნათესები.

სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარშნდელზე უკეთ მოემზადნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ყველაფერი ეს, ამბობს ორატორი, საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ ოლქის მეურნეობანი მნიშვნელოვნად გაადიდებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას.

არაშავნიადაგიანი ზონის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი რეზერვია ნაკლებპროდუქტიული სანოვრების ათვისება. ამისათვის საჭირო არ იქნება დიდი კაპიტალური დანახარჯები, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. აბრასიმოვი. საქმროა მხოლოდ კომპლექტი ზოგიერთი მანქანისა, რომელთა წარმოება ათვისებულია, მაგრამ რატომღაც შემცირებულია მინიმუმამდე. როგორც ჩანს, უნდა დაჟალოს ფედერაციის სახელმწიფო საგეგმო კომისიას განიხილოს მდელოებისა და სანოვრების ათვისებისათვის საჭირო ტექნიკის შეუფერებელი წარმოების საკითხი.

ორატორმა დააყენა აგრეთვე საკითხი, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება. ოლქის ათობით მსხვილ საბჭოთა მეურნეობაში არ არიან უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები, ვეტერინარი ექიმები, ზოოტექნიკოსები, კვალიფიციური ეკონომისტები, მექანიზატორი ინჟინრები და ტექნიკოსები. ადგილებზე სპეციალისტთა ნაკლებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ საკმაო ხნიერად ხვდებიან შემთხვევითი ადამიანები. ამხ. აბრასიმოვი წინადადებას აყენებს გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების ქსელი და გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებთა კონტინგენტი, ძირეულად შეიცვალოს სწავლების სისტემა და მიღების არსებული წესი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში პარტიის ამოცანების განხილვა, ამბობს ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. გ. კეგი.ნი,** სეროზულ ცვლილებებს შეიტანს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, ხელს შეუწყობს მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა გამოყენებაში დიდ ნაკლოვანებათა უსწრაფეს აღმოფხვრას.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, განაგრძობს ორატორი, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების სწრაფად გადიდების დიდი შესაძლებლობები აქვთ. განვლილი სამე წლის მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოება გადიდდა 79 პროცენტით, რძისა — 37 პროცენტით, კვერცხისა— 83 პროცენტით.

თვით ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ საჭიროა შეიცვალოს ნათესების სტრუქტურა, განაგრძობს ორატორი. უკანასკნელ ორ წელიწადში გადიდდა მარცვლეული კულტურების ნათესები, უნინარეს ყოვლისა ჩვენში ყველაზე მოსავლიანი ქერის, აგრეთვე ბარდისა და ცერცვლის ხარჯზე. მრავალწლიანი ბალახების ნათესები შარშან შემცირდა 46 ათასი ჰექტარით სამყურის დადებვნის გზით. წლითიწლობით ფართოვდება სიმინდის ნათესები, იზრდება მისი მოსავლიანობა.

მიწათმოქმედების ახალ ინტენსიურ სისტემაზე გადასვლა, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების სწრაფი ზრდა მოითხოვს სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდების გადიდებას. მარტო ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილება, ამბობს ამხ. კუბინი, უკვე ახლა განისაზღვრება 100 ათასი ტონა ამიაკით წელიწადში. ჩვენ კი ჯერჯერობით ვიღებთ ამ რაოდენობის სულ დიდი 10-12 პროცენტს. სპეციალისტთა გაანგარიშებით, ესტონეთის პირობებში თუ ნიადაგში შევიტანთ 100 ათას ტონა ამიაკს, წელიწადში ღამატებით მიეღებთ 80 მილიონი მანეთის მარცვლეულს, რძესა და ხორცს.

1965 წლიდან, განაგრძობს ორატორი, რესპუბლიკაში განთავისუფლდება 340 მილიონი კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო გაზი, რომელსაც ჩვენ ფიქალიდან გაზარმოვთ. ამ რაოდენობიდან 200 მილიონი კუბური მეტრი შეიძლება მოხმარდეს აზოტოვანი სასუქების წარმოებას. ჩვენ მოგვაჩნია, რომ ამ გაზის გამოყენების ბაზაზე უნდა აშენდეს აზოტოვანი სასუქების ქარხანა. ასეთი ქარხანა მიზანშეწონილია აშენდეს კოხტლა-იარვში ლენინის სახელობის დიდ ფიქალ-ქიმიურ კომბინატთან. ეს საშუალებას მოგვცემს 25 პროცენტით შევამციროთ კაპიტალდაბანდებანი ქარხნის მშენებლობაზე.

დასასრულ ამხ. კუბინი ამბობს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარს, რათა წარმატებით შეასრულონ XXII ყრილობის და ამ პლენუმის გადწყვეტილებებით დასახული ამოცანები.

მკაფიო, აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვა ერთ-ერთმა უხუცესმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა **კ. ი. სკრიაბინმა,** რომელსაც პლენუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

— გულითად მადლობას ვუძღვნი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს იმისათვის, რომ მე, უპარტიო მეცნიერს, შესაძლებლობა მომეცა სიტყვა წარმოვთქვა ამ ტრიბუნიდან, — თქვა ამხ. სკრიაბინმა.

მეცნიერმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა მეცნიერთა კადრების მომზადებას, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების და მისი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ამოცანებს.

— ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგება ახალგაზრდა მეცნიერთა ცვლის მომზადების საკითხი. საჭიროა გავაახალგაზრდავთ მეცნიერება, — აცხადებს ვგი, — ნამდვილ მეცნიერს არ უნდა ამინებდეს ის, რომ ცალკეული ყველაზე ნიჭიერი მისი მოწაფეები აღმოჩენენ ბუნების ახალ მოვლენებს, შეიმეშავებენ ახალ მეთოდებს და თავიანთი მეცნიერული მიღწევებით აჯობებენ მასწავლებელს. ამან მხოლოდ უნდა გაგვახაროს,

ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, განაგრძობს ორატორი, უნდა შეეცალოს ისინი, ვინც მეცნიერებაში გაუგებრობით მოხვდა, ხოლო შემდეგ უხაოფო ხის უბადრუკ მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ ახალგაზრდობის დაწინაურება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ უღრმესი პატივი ვცეთ უფროსი ასაკის მეცნიერ მოღვაწეებს, რომლებმაც სამშობლოს სახელი მოუხვეჭეს თავიანთი აღმოჩენებით, თავიანთი შრომით.

მეცნიერი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მუშაობა პირუტყვის დაავადებათა ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა ბიოლოგებმა და ექიმებმა შეიმუშავეს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებათა ეფექტური კომპლექსი, რომელიც საშუალებას იძლევა ყველგან გამოყენებით მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პირუტყვის ცალკეულ სახეობათა დაავადების სრულ ლიკვიდაციას. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში ამ მუშაობას ჯეროვნად ვერ აფასებენ. მაგალითად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად იღუპება ბევრი ცხვარი ტკინის დაავადებით — რეტით. სამეცნიერო დაწესებულებებმა აიარეხთან მიმართეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ სამინისტროებს წინადადებით დაენერგათ ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდი, რომელიც მათ შეიმუშავეს. სამინისტრომ ძვირფას ინიციატივას მხარი არ დაუჭირა.

ჰელმინტოლოგიის მეცნიერების მუშაკებმა ყოველმხრივ გამოსცადეს დიდად ეფექტიანი პრეპარატები პირუტყვის მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ. ბევრი ეს პრეპარატი შეიძლება საკვებთან შეეფიენი გამოვიყენოთ პირუტყვის კვებისას (პიპერაზინი, დიტრაზინი, ფილიქსანი და სხვ.). მაგრამ მეცნიერებმა ვერ მიაღწიეს მათ დამზადებას საჭირო რაოდენობით. არ კმარა აგრეთვე ბევრი სხვა ძველი პრეპარატის წარმოება, რომლებსაც დიდი ხანია წარმატებით იყენებენ პირუტყვის სამკურნალოდ.

პირუტყვის დაავადებათა საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ამბობს ამხ. სკრიაბინი, საჭიროა ბიოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა ყველა რგოლი მჭიდრო კონტაქტით მუშაობდეს. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა.

ტრიბუნაზეა სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკავშირო ტექნიკის“ თავმჯდომარე **ბ. ს. კუჩუმოვი.** ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ამბობს იგი, აღძრულია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ფრიად საგულისხმო საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით შენებლობისათვის. პლენუმის განსახილველად შემოტანილი წინადადებანი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ პარტიის მიერ ამ ამოცანის შემრქმედებითად გადაჭრის ახალი ნიმუშია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას ახლა საფუძვლად უნდა ედოს საინჟინრო და აგრობიოლოგიური მეცნიერების ფართოდ გამოყენება, აგრეთვე ნოვატორთა შესანიშნავი გამოცდილება.

სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკავშირო ტექნიკას“ და მის ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობაში საინჟინრო საქმის განვითარებისათვის, ტექნიკით და რემონტის ორგანიზაციით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფისათვის. ჩვენი აზრითაა აგრეთვე კონტროლსა და დახმარებას გუწევდეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის იქსპლოატაციის.

„სოფლტექნიკის“ ბევრი განყოფილების შემადგენლობაში შექმნილია ფერმების მოწყობილობის მონტაჟის ბრიგადები, სამელიორაციო რაზმები და ტორფის და კირის მოპოვების. ორგანულ-მინერალური სასუქების მომზადებისა და ნიადაგში შეტანის რაზმები. „სოფლტექნიკის“ სისტემას დაუბრუნდა, მართალია, ჯერ ყველა არა, შემკეთებელი ქარხნები და სახელოსნოები, რომლებიც წინათ სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და სხვა ორგანიზაციებს გადაეცათ.

1961-1962 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში „სოფლტექნიკის“ შემკეთებელი საწარმოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეასრულებენ ტრაქტორების შეკეთების ძალი მოცულობის დაახლოებით ნახევარს.

მნიშვნელოვნად ფართოვდება დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ფერმების შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციაში.

ორატორი აღნიშნავს, რომ სიძნელეები ტრაქტორისა და ავტომობილის სათადარიგო ნაწილების მომარაგებაში უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ამ სათადარიგო ნაწილების წარმოების ტემპები ჯერ კიდევ ჩამორჩება მანქანა-ტრაქტორთა პარკის ზრდას. ამასთან დაკავშირებთან, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კუჩუმოვი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დღემდე არ მიეღია ზომები სათადარიგო ნაწილების გამოშვების გასაადიდებლად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზარდი პარკი იოცილებლად ესაჭიროება ეკონომიკურად აღჭურვილი სარემონტო საწარმოთა ქსელის შექმნას. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მანქანების რთულ რემონტს აწარმოებს ამისათვის მოუწყობელ სახელოსნოებში, რაც იწვევს რემონტის დაბალ ხარისხსა და დიდ ღირებულებას. მაგალითად, ყამირის მხარეში ამის გამო ტრაქტორების წარმადობა წლითიწლობით მცირდება. ხდება სახსრების გადახარჯვა რემონტზე, ნაადრევად ხდება დიდადი მანქანების ჩამოწერა. რემონტის ციალი ორგანიზაციის გამო საერთო ზარალმა მხარეში სამი წლის მანძილზე 150 მილიონამდე მანეთი შეადგინა. სარემონტო ბაზის შესაქმნელად კი საჭიროა 60 მილიონი მანეთი. ეს ხარჯები ძალიან მალე ანაზღაურდება.

ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობაა გაწეული სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის. მრეწველობა ახლა უშვებს 500-ზე მეტი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მექანიზმებს. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნა ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ბევრად ჭარბობს წინ მათს წარმოებას. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სავსებით სწორად არის წამოყენებული წინადადება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დაჩქარებული განვითარების შესახებ.

ამხ. კუჩუმოვმა წინადადება შეიტანა, რომ „საკასოფლტექნიკაში“ თავმოყრილი იქნას სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროების საშუალო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია.

თავისი გამოსვლის დასაწყისში სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ი. ვორობიოვი** ამბობს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში საფუძვლიანად დაახასიათა საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში და გვიჩვენა მისი შემდგომი აღმავლობის კონკრეტული გზები. ყუბანში მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის გავრცელების შედეგად ცუდად იყო გამოყენებული ნაყოფიერი მიწა. ამისათვის ნ. ს. ხრუშჩოვმა სამართლიანად გააკრიტიკა მხარის ხელმძღვანელები. მოხსენებაში მან ცხადყო, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა ყუბანს ნათესბალახიანმა სისტემამ. 900 ათასი ჰექტარი ბალახების ნაცვლად, თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, სიმინდი რომ დაგეთესათ და ჰექტარზე 50 ცენტნერი მარცვალი აგეღოთ, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნელს გასუქებენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან ორ მილიონზე მეტ ღორს. ორ წელიწადში ცხვრის სულადობა განზრახულია ერთიორად გადიდდეს, უახლოეს დღეებში მხარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაამთავრებენ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის კვარტალური გეგმის შესრულებას.

ამხ. ვორობიოვი მხურვალედ უჭერს მხარს წინადადებებს, რომლებიც პლენუმზე შემოიტანა ნ. ს. ხრუშჩოვმა, და მიიჩნია, რომ ეს პლენუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, ამბობს სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. ავრამოვი,** ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

უკანასკნელი წლების მანძილზე მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაიზარდა რძის, ხორცის, კვერცხის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები. ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1961 წელს მიღებულია 380 ცენტნერი რძე, ხოლო ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე — 46,5 ცენტნერი.

ამასთან ერთად, აღნიშნავს ორატორი, უნდა ვაღიაროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღონე ჯერ კიდევ დაბალია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარი სიმდიდრე — მიწა გამოყენებულია ცუდად. ოლქის მეურნეობებში 40 პროცენტზე მეტი სახნავი ეკარა მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს, მიწათმოქმედების ნათესბალახიანმა სისტემამ დიდი ზიანი მოგვაყენა, იგი აფერხებს საკვების წარმოების ზრდას და, მაასადამე, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასაც. საოლქო პარტიული ორგანიზაცია აკეთებს დასკვნებს სამართლიანი კრიტიკიდან, რომელიც ჩვენს მიმართ გამოთქვა.

თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში გადაისინჯა ნათესი ფართობების სტრუქტურა. შემოდგომაზე გადაიხნა 144 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები, დაითესა 26 პროცენტით მეტი საშემოდგომო კულტურები, ვიდრე წინა წელს. მნიშვნელოვნად ფართოვდება სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და პარკოსნების ნათესები. საოთხნი კულტურები 40 პროცენტზე მეტ სახნავს დაიკავებს.

ჩვენ სავსებით ეუჭერთ მხარს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, ამბობს ორატორი, ახლა ბევრად დამოკიდებულია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მართვის შიდასამეურნეო სტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

ამხ. აბრამოვი შემდეგ ეხება მეურნეობათა სპეციალიზაციის საკითხს.

ახლა საოლქო პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებანი ხმარდება საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. მეურნეობებში შექმნილია და მუშაობს 2.500-ზე მეტი მექანიზებული ბრიგადა და რგოლი სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სათოხნი კულტურების მოყვანაზე. შეიქმნა მოწინავე გამოცდილების ათი სარაიონთაშორისო სკოლა. გარდა ამისა, თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში მექანიზატორთათვის შემუშავდა აგროტექნიკის შემსწავლელი. სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და საკვები პარკოსნების უხვი მოსავლის მიღების შემსწავლელი მუდმივი სკოლები. დიდი ყურადღება ექცევა მეურნეობათა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების სწავლებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლის მეთოდების დასაფუძნებლად.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ორგანული სასუქების წარმოების გადიდებისა და ნიადაგში შეტანისათვის, განაცხადა სსრ კავშირის არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **მ. ე. მაცეპუროვმ.** მაგრამ ჯეროვანი შედეგები ჯერ მიღწეული არ არის. მაგალითად, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში 1960 წელს დამზადებული და მინდვრად გატანილია 51,2 მილიონი ტონა ორგანული სასუქები. სასუქების ასეთმა რაოდენობამ უნდა უზრუნველყოს სულ ცოტა 15-20 ცენტნერი მარცვლეულის მიღება ჰექტარზე. ფაქტიურად კი საშუალო მოსავალი რესპუბლიკაში ორჯერ დაბალია.

სასუქების არასაკმაო ეფექტიანობის მთავარ მიზეზებად უნდა მიეჩნიოთ, აღნიშნავს ორატორი, მათი დაბალი ხარისხი, აგრეთვე სასუქების მომზადებისა და დაგროვების ელემენტარული ტექნოლოგიური მოთხოვნების უგულებელყოფა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდაზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს კომპოსტები, რომლებიც მომზადებულია ნედლი ტორფისა და ნაკელისაგან. ზამთარში ასეთი კომპოსტები იყენება და მათი ეფექტიანობა ძალიან მცირეა.

ამხ. მაცეპუროვ ამბობს, რომ სსრ კავშირის არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევემ ინსტიტუტმა შეიმუშავა და ურჩია მანქანების რაციონალური ტექნოლოგია და კომპლექსი ტორფის ფხვნილის სასუქად დამზადებისათვის. ეს კომპლექსი აგრეთვე საშუალებას იძლევა მომზადდეს და ნიადაგში შეტანილ იქნას ნაკელ-მიწის, ნაკელ-ტორფისა და სხვა კომპოსტები აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით.

ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ტორფმინერალურ-ამიაკის სასუქები. ამ სასუქების ძირითადად ამზადებენ ტორფის მრეწველობის საწარმოები. მაგრამ ისინი საკმაოდ არ ამზადებენ სასუქებს. ამიტომ უნდა მოეწყოს მათი დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამხ. მაცეპუროვ ხაზს უსვამს იმას, თქვა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნასვენი მიწების, მცირეპროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების, ნაჩხატებისა და ნოლების გამოყენებას.

ორატორი აყრიტიკებს ნათესბალახიან სისტემას და იმ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, რომელნიც ურჩევდნენ ახლად ათვისებული მიწების გამოყენებას ფეჩხრეს ყოლისა ბალახებისათვის. იგი იმოწმებს მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას და ცხადყოფს ასეთი რეკომენდაციების სრულ უსაფუძვლობას.

ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა განხორციელდეს კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები გამოყენებულ ველანანავ მიწებზე და ხახს უსვამს, რომ ამ ღონისძიებებს დიდი ხარჯები არ სჭირდება. ამავე დროს დაღარავა და დაღრეკება დატენიანებულ ნიადაგებში საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად უფრო ადრე დავიწყოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები და ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

სოფლის მეურნეობა — ამბობს პარტიის ბაკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ზ. ნ. ნურიევი,** — ჩვენი ეკონომიკის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ეხება თვითეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს.

ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს იმ გარდაქმნებზე, რომლებიც ბაკირეთის სოფლის მეურნეობაში მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. თე 1953 წელს ბაშკირეთმა სახელმწიფოს მიჰყიდა 149 ათასი ტონა რძე, 1961 წელს სახელმწიფომ მიიღო 442 ათასი ტონა. ამავე პერიოდში ხორცის წარმოება გაიზარდა 50 ათასი ტონიდან 122 ათას ტონამდე, კვერცხისა — 42 მილიონიდან 160 მილიონ ცალამდე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის გაყიდვა.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში, განაგრძობს ორატორი, ჯერ კიდევ ცოტას ვაწარმოებთ მეცხოველობის პროდუქტებს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაანგარიშებთ, დიდი პიროტაცვის სიკვდილიანობა. ყოველივე ამით თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში როგორც პარტიული, საბჭოთა, ისე სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება იმის ახალი დადასტურებაა, რომ ჩვენი პარტია შემოქმედებითად ამუშავებს სოფლის მეურნეობის კონკრეტულ საკითხებს. ბაშკირეთის პარტიული ორგანიზაცია ერთსულოვნად იწონებს ყველა დასკვნასა და დებულებას, რომლებიც წამოყენებულია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. ნურიევმა მიუძღვნა ნათესი ფართობების სტრუქტურის გადასინჯვის საკითხებს.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, ამბობს ამხ. ნურიევი, მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების უნარიანად გამოყენება დაუყოვნებლივ მოახდენს გავლენას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე.

შემდეგ გამოდის ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. მ. კავუნი.** სულ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ამავე დროს იმ არტელის კოლმეურნეთა დიდ ჯგუფს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მიეცათ მთავრობის ჯილდოები. ამხ. კავუნმა კოლმეურნეობის მშრომელთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობაში მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ამხ. კავუნი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი დიდი მოვლენაა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. პლენუმზე განხილულ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის წარმოების წარმატებით აღმავლობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში, ამბობს ამხ. კავუნი, ერთსულოვნად, მხურვალედ მოიწონებენ კომუნისტები, სოფლის ყველა მშრომელი. ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების შექმნა შესაძლებელს გახდის კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაეწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ამ სამმართველოებს უნდა მივცეთ ფართო უფლებები, მათ სათავეში ჩავაყენოთ ავტორიტეტიანი, საქმის მცოდნე მუშაკები.

ამხ. კავუნი აღნიშნავს, რომ იმ არტელშიც, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, წარმოების შემდგომი განვითარების დიდი შესაძლებლობებია. 1962 წელს დასახული გვაქვს ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 40 ცენტნერი მარცვლეული, მათ შორის 62 ცენტნერი სიმინდი, 35 ცენტნერი ბარდა, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 60 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით, 486 ცენტნერი რძე. არტელი ზრდის საკვების წარმოებას. დიდი ყურადღება ექცევა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას. მომდინარე წელს მთლიანად მექანიზებელი იქნება სიმინდის, ბარდისა და სხვა კულტურების მოსავლის აღება.

თებერვალში სასოფლო-სამეურნეო არტელში შუამავა დაიწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელმა ერთწლიანმა სკოლამ, ამბობს ორატორი. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ამხანაგები დაეუფლონ საჭირო ცოდნას.

სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. მ. შკოლნიკოვმა** ილაპარაკა ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ბრძოლაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. შარშან ვოლგოგრადის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეული, ხორცისა და რძის მიყიდვის დავალებები.

ოლქის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი მარცვლეულისა და საკვების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ეს ამოცანა გადაიჭრება მიწათმოქმედების კულტურის ყოველმხრივი ამაღლების, ნათესი ფართობების ყველაზე სწორი სტრუქტურის დაჭერგვის, ყამირი და ნასვენი მიწების დამატებით მოხვნის გზით.

მარცვლეულისა და ცილოვანი საკვების წარმოების გადიდების დიდი რეზერვია, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესების გაფართოება. ბალახების ნათესებისა და მოუთესავი ახეულის შემცირებით ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობები მიმდინარე წელს 340 ათასი ჰექტარით გაადიდებენ მარცვლეული კულტურების ფართობებს. 200 ათას ჰექტარზე სიმინდს მოვიყვანთ ხმელ მარცვლად. ყოველივე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

მაო რაოდენობით აქვთ თესლი, მთავრდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი. ხარისხიანი რემონტისა და სწორი ექსპლოატაციის გზით გათვალისწინებულია გადიდდეს მანქანების წარმადობა მიმდინარე წელს სულ მცირე 20 პროცენტით, რაც საშუალებას მოგვცემს მთელი საშუშაოები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შევასრულოთ. 1962 წელი რესპუბლიკაში შრომის ორგანიზაციის მოწინავე ხერხების მასობრივი დანერგვის წელი გახდება.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას, ამბობს მინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი ბ. გ. სივაკი. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში საგებით სწორად არის აღნიშნული, რომ ტრაქტორის სიმძლავრის გადიდება სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი პირობაა.

თანამედროვე ტექნიკით სოფლის მეურნეობის აღჭურვაში გარკვეული წელილი შეაქვს მინსკის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივს. საწარმო განუწყვეტლივ სრულყოფს წარმოების ორგანიზაციას და წლითიწლობით ზრდის უფრო სრულყოფილ, უნივერსალური თვლიანი ტრაქტორების გამოშვებას.

მაშინ როცა საპროექტო დავალება წელიწადში 25 ათასი ტრაქტორია, აღნიშნავს ამბ. სივაკი, ჩვენი ქარხნის კოლექტივმა 1961 წელს გამოუშვა 39,7 ათასი ტრაქტორი, აქედან გეგმის გადამეტებით 2,7 ათასი, აგრეთვე 700 ათასი მანეთის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები გეგმის გადამეტებით. მიმდინარე წელს უნდა გამოვუშვათ 45 ათასი ტრაქტორი.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ქარხნის გამოშვებული ტრაქტორის სიმძლავრე 37 ცხენის ძალა იყო, ახლა კი 50 ცხენის ძალაა.

ქარხნის კონსტრუქტორებმა შექმნეს ახალი, „მჩზ-50“ ტრაქტორი, რომელსაც მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები აქვს. სამეშაო სიჩქარეთა გადიდებასთან ერთად გაიზარდა მანქანის სტრანსპორტო სიჩქარე, რომელიც საათში 24 კილომეტრზე მეტია.

ამჟამად წარმოებს მუშაობა, რათა შეიქმნას საწარმოო-სიმძლავრენი, რომლებიც უზრუნველყოფენ 60 ათასი ტრაქტორის გამოშვებას 1963 წელს და 75 ათასისა — 1964 წელს. ჩვენ ვფიქრობთ შემდგომ გავადიდოთ ტრაქტორების გამოშვება 80-90 ათასამდე წელიწადში.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, თქვა ამბ. სივაკმა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ამჟამად სატრაქტორო მრეწველობის ქარხნები გადადიან უფრო ეკონომიური და მეტი წარმადობის მოდელების ტრაქტორების წარმოებაზე, მაგრამ დაგეგმვის არსებული პრაქტიკა არ იძლევა ახალი ტექნიკის უფრო სწრაფი დანერგვის სტიმულს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტრაქტორების გამოყენების სახალხო-სამეურნეო ეფექტი ნამდვილი ცხადად ჩანს, მგეგმავი ორგანოებმა არ გამოგიყენეს ამისათვის საჭირო მატერიალური და ფულადი სახსრები. ამის შედეგად ჩვენი საწარმო უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ქარხნები, რომლებიც მოძველებული ტიპის მანქანებს უშვებენ.

დასასრულ ამბ. სივაკმა აღუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ მინსკის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი მთელ თავის ძალღონესა და ცოდნას, მოახმარს დაწესებული გეგმისა და შვიდწლედის მეოთხე წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას.

სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ფ. ს. გორიაჩევმა** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ოლქის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. ყველა მეურნეობაში გადასინჯულია ნათესი ფართობების სტრუქტურა. მნიშვნელოვნად შემცირდა ამეულების ფართობი, მცირდება შერეის ნათესები. საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ფართობები თითქმის ორ მილიონ ჰექტარს მიაღწევს, წიწიბურისა და ფეტვისა — 50 ათასს და ბარდისა — 40 ათას ჰექტარს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის საიმედო საკვები ბაზის შექმნას.

სიმინდი დაიკავებს 550 ათას ჰექტარს.

ამბ. **გორიაჩევმა** წამოაყენა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შეცვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს. ახლა, თქვა მან, ორსებობს წიწიბურის, თეთრი, მწვანე და ყვითელი ბარდის ერთნაირი შესასყიდი ფასები რუსეთის ფედერაციის ყველა ზონისათვის, მაშინ როცა სხვა მარცვლეული კულტურების ფასები დიფერენცირებულია რვა ბუნებრივ-ეკონომიური ზონის მიხედვით. როგორც ცნობილია, იმ მეურნეობებისათვის, რომლებმაც მარცვლის უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს, შესასყიდი ფასები მცირდება და, პირიქით, კოლმეურნეობები, რომლებმაც მცირე მოსავალი მოიყვანეს, ჰყიდიან მარცვალს უფრო დიდ ფასად. ყამირის ათვისების პერიოდში ეს, ცხადია, სწორი იყო, მაგრამ ახლა ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ.

ორატორს მიაჩნია, რომ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც აწარმოებენ საკვებ პარკოსნებს და შაქრის ჭარხალს პირუტყვის საკვებად, მიზანშეწონილი იქნებოდა გაგვეგრცელებინა შრომის ანაზღაურების ის წესი, რომელიც დაწესებულია სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანაზე დასაქმებული საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის, ესე იგი მექანიზატორებისა და სხვა მუშაკებისათვის მიგვეცა ზეგეგმითი პროდუქციის ღირებულების 30-მდე პროცენტი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურება ბალახის თესვისა და შაქრის ჭარხლის თესვისათვის ერთნაირია. ეს სწორი არ არის.

იმ მარცვლის თავდაპირველი ტენიანობა, რომელიც სახელმწიფოს ბარდება, ციმბირისათვის დაწესებულია თითქმის ისეთივე, როგორიც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ოლქებისათვის, რომლებსაც გაცილებით უკეთესი კლიმატური პირობები აქვთ. ცხადია, თავდაპირველი კონდიციები უფრო დიფერენციული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ზონების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების კლიმატური და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით.

დასასრულ ამბ. გორიაჩევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურა აღმოფხვრის გაუპირობებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში, ხელს შეუწყობს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ამაღლებას.

თავის გამოსვლაში უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბ. პ. ე. **შელესტმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, ფასასხულია უდიდესი რეზერვებისა და შესაძლებლობთა გამოყენების გზები, რათა შემდგომ მკვეთრად გადიდდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

სოფლის მეურნეობის მართვაში, ამბობს ამბ. შელესტი, ჯერ კიდევ დიდი გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობაა. კიევის ოლქში არ არსს ისეთი ორგანო, რომელსაც ეკისრებოდეს მთელი პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის. სასწორო-გაელენას ახდენენ წარმოების ორგანიზაციაზე კოლმეურნეობები. ზოგადი ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გავადიდოთ მარცვლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ჰექტარი მიწა სოფლის მეურნეობის უფრო მეტ პროდუქტს იძლიოდეს. კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის საწარმოო სამმართველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეთა კომიტეტების შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს უფრო კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ თვითეული მეურნეობის საწარმოო საქმიანობას, რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა.

ნავარაუდევი გვაქვს კიევის ოლქში შექმნილ 9 სარაიონთაშორისო კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის საწარმოო სამმართველო. თვითეული მათგანი გაერთიანებს 3-4 იდმინისტრაციულ რაიონს, სადაც შევა 60-80 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელთა მიწის სავარგულების ფართობი 200 ათას ჰექტარზე მეტი იქნება. პარტიის საოლქო კომიტეტი განახორციელებს საჭირო მუშაობას, რათა სამმართველოებს სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი ორგანიზატორები, სოფლის მეურნეობის კარგად მკოდნე ადამიანები.

ორატორმა აღნიშნა, რომ პარტორგთა ინსტიტუტის შექმნის საკითხი დამატებით უნდა იქნას შესწავლილი. მას ნაადრევად მიაჩნია ზოგიერთი ორატორის მიერ რაიონული გაზეთების ლიკვიდაციის საკითხის დაყენება.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა კიევის ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. მარცლოვანი კულტურებისა და შაქრის ჭარხლის მოსავლიანობით, საერთო მოსავლით ოლქმა შარშან მიაღწია 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს. შვიდწლედის განვლილ სამ წელიწადში მარცვლის საერთო მოსავალი 1,5-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ოლქს სრულად როდი აქვს გამოყენებული მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი. 1961 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულება — ჰექტარზე მოეყვანათ 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, რისთვისაც ნ. ს. ხრუშჩოვმა სამართლიანად გააკრიტიკა კიეველები უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე.

ოლქში გადასინჯულია ნათესი ფართობების სტრუქტურა, თუმცა ნათესბალახიანი სისტემა აქ ფართოდ არც ყოფილა გავრცელებული. ახლა მცირემოსავლიანი კულტურების, უწინარეს ყოვლისა ბალახების ფართობების შემცირების ხარჯზე ერთნახევარჯერ იზრდება სიმინდის ნათესები. სიმინდის ფართობი 300 ათას ჰექტარს მიაღწევს. შაქრის ჭარხლის ნათესები მიმდინარე წელს 40 ათას ჰექტარს დაიკავებს. ნათესი ფართობების მიღებული სტრუქტურა საშუალებას მოგვცემს მოვიყვანოთ 3,5 მილიონი ტონა საკვები ერთეული, ჩავდოთ 20-22 ტონა სილოსი თვითეულ ძროხაზე. ეს მილიანად უზრუნველყოფს საკვებით ოლქის მეცხოველეობას.

ორატორმა წინადადება წამოაყენა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ გადაჭარა ტორფის ამოსაღები და ჰუმინის სასუქების წარმოების მანქანების კომპლექსის დამზადების საკითხი. მკვეთრად უნდა გადიდდეს აგროქიმიური მინერალური სასუქების წარმოება. ეს ხელს შეუწყობს მიწის ნაყოფიერების გადიდებას.

ამ პლენუმის მოწვევა, ნ. ს. ხრუშჩოვის შესანიშნავი, ღრმამენაარსიანი მოხსენება მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რა უდიდეს ზრუნვას იჩენენ პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის, თქვა სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ვ. ბასოვმა.** საოლქო პარტიული ორგანიზაცია, დონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განუწყვეტლივ აძლიერებენ ლენინიზმებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში. მაგრამ, განაგრძო ორატორმა, ოლქის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ სუსტად იყენებს არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, მცირე პროდუქციას იღებს ჰექტარ მიწაზე.

ამჟამად ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შედეგები. მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების ნათესები დაიკავებს სახნავის 61 პროცენტს, ხოლო სასილოსე სიმინდთან ერთად — 77 პროცენტს.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისთვის, რომ 1962 წელს მოიყვანონ სიმინდისა და სხვა ძვირფასი კულტურების უხვი მოსავალი, აიყვანონ მარცვლის საერთო მოსავალი 320 მილიონ ფუთამდე. ახლა ყველა მეურნეობა ამზად არის საგაზაფხულო თესვისათვის. შემდეგ ამბ. ბასოვმა თქვა, რომ მარცვლისა და საკვების წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მიმდინარე წელს ჩვენი ოლქი იბრძოლებს იმისათვის, რომ სახელმწიფოს მისცეს 140 მილიონი ფუთი პური, 240 ათასი ტონა ხორცი, 630 ათასი ტონა რძე, 357 მილიონი ცალი კვერცხი, 17,2 ათასი ტონა მატყლი.

უკანასკნელ წლებში, თქვა ამბ. ბასოვმა, ოლქში შემუშავებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ ამაღლდეს სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესება მათი შრომის შედეგებით. ამან შესამჩნევად აამაღლა შრომითი აქტივობა, გაადიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

დასასრულ ამბ. ბასოვმა თქვა, რომ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მოითხოვს მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. საოლქო პარტიული ორგანიზაცია განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა აამაღლოს პარტიული კომიტეტებისა და სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში საქმის ვითარებისათვის და გაუმჯობესებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას.

სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამბ. **ა. ი. შიბაევმა** თავის გამოსვლაში რწმენა გამოთქვა რომ ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა განხორციელება უკვე 1962 წელს კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებაზე. მან აღნიშნა, რომ სარატოვის ოლქმა უკანასკნელ წლებში გაადიდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსთვის მიეყიდა. შარშან, მაგალითად, სახელმწიფოს მივყიდეთ 106 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი. მაგრამ, თქვა ამბ. შიბაევმა, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევასრულეთ გეგმები, რომლებიც დაწესებული ჰქონდათ ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ეს, ბუნებრივია, საოლქო პარტიული ორგანიზაციის შეშფოთებას იწვევს.

პარტიული ორგანიზაცია ახლა ახორციელებს ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი და, უწინარეს ყოვლისა, ნათესბალახიანი სისტემის შედეგები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადასინჯა ნათესი ფართობების სტრუქტურა; მიმდინარე წელს ნათესი ფართობები ექვს მილიონ ჰექტარზე მეტი ანუ მთელი სახნავი ფართობის 93 პროცენტი იქნება. მნიშვნელოვნად მცირდება მოუთესავი ანეულები.

მზარდი მეცხოველეობის საკვებით დაკმაყოფილებლად საკვები კულტურების ნათესი 1.270 ათას ჰექტარს მიაღწევს, აქედან სასილოსე სიმინდისა—750 ათას ჰექტარს და შაქრის ჭარხლისა — 70 ათას ჰექტარს.

ორატორმა განაცხადა, რომ ახლა ოლქში დიდი მუშაობა წარმოებს სასუქების გასატანად, თესლის მოსამზადებლად, ტექნიკის შესაკეთებლად.

დასახული ამოცანა — ვაწარმოოთ ას ჰექტარ სახნავზე 75 ცენტნერი და ას ჰექტარ სხვა სავარგულებზე 16 ცენტნერი ხორცი — სარატოვის ოლქისათვის საესებით რეალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ოლქმა უნდა აწარმოოს 500 ათას ტონაზე მეტი ხორცი დაკლული წონით, ანუ 8-ჯერ მეტი, ვიდრე წარმოებული იყო 1961 წელს.

ამბ. შიბაევმა შემდეგ აღნიშნა, რომ მიწათმოქმედების სათოხნ სისტემაზე გადასვლა, უხვმოსავლიანი კულტურების თესვა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში სატრანსპორტო სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებასთან; ამიტომ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ სატრანსპორტო საშუალებებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის საქმეს.

ამით დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საღამოს სხდომა. 8 მარტს დილის 10 საათზე პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საკლესი).



საბარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია საგაზაფხულო კულტურების თესვა, რომლებიც წელს აქ დაიკავებენ დაახლოებით 17 ათას ჰექტარს. რაიონში დღემდე დათესილია თითქმის 1.200 ჰექტარი ბარდა და 400 ჰექტარი მზესუმზირა. 9 ათასზე მეტ ჰექტარზე დაითესება სიმინდი.

სურათზე: მზესუმზირის თესვა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადში“. წინა პლანზეა მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ოქრომჭედლიშვილი.

ფოტო ა. ედიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

იდეოლოგიურ მუშაკთა მძლავრი არმიის პირველ რიგებში

საქართველოს ჟურნალისტთა II ყრილობაზე

პრესის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით განიხილა საქართველოს ჟურნალისტთა მორიგმა მეორე ყრილობამ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ **ი. ჩხეიძეშვილმა.**

საქართველოს ჟურნალისტებისათვის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, აღნიშნავს მომხსენებელი, ახლა არ შეიძლება იყოს უფრო დიდნაშვნელოვანი, უფრო საპატიო, უფრო პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ბრძოლა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის. სკკპ XXII ყრილობის მნიშვნელობა ისიც არის, რომ ამ ყრილობაზე ლენინურმა პარტიამ გაბედულად და მამაცურად უთხრა ხალხს მწარე სიმართლე სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში დაშვებული სერიოზული შეცდომების შესახებ.

ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXII ყრილობამ. ვაწვიდიდლად შეიძლება ითქვას, რომ ეს დრო საქართველოს ჟურნალისტების ცხოვრებაში იყო ყველაზე ნაყოფიერი, ყველაზე შთაგონებული, ყველაზე შემოქმედებითი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შეიძლება დავასახელოთ ასობით სინტეზური ნომერი, რადიოგადაცემა და ტელევიზიის დადგმა, რომლებიც გაკეთებულია შემოქმედებითი შთაგონებით და ნამდვილი ჟურნალისტური ოსტატობით და რომლებშიც მკაფიოდ, გასაგებად, კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე, მრავალსმომქმედ ციფრებსა და ფაქტებზე დაყრდნობით წარმოდგა და წარმოებს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საქმიანი, დამჯერებელი პროპაგანდა.

პრესის ფოცალებზე, რადიოსა და ტელევიზიაში ფართო ადგილი უჭირავს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, წარმოების რენტაბელობის, ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის, თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის საკითხებსა და ეკონომიკის ბევრ სხვა კონკრეტულ პრობლემებს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ შინმართულებით პრესის მუშაობაში ნაკლოვანებანიც არის. საქმე ის არის, რომ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმეში ყველაფერი თითქოს რიგზეა, მაგრამ ამ გამოცდილების ცხოვრებაში, პრაქტიკაში დანერგვით ჩვენ განსაკუთრებით ვერ ვიქებთ თავს.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში. ჩვენი ჟურნალისტები გაბედულად, გასაგებად, დაკვირვებით უწევენ პროპაგანდას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გამოცდილებას მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების დარგში. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად გამოდიან პარტიული კომიტეტების შტატგარეშე ინსტრუქტორები, პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებების ხელმძღვანელები. თითქმის ყველა რედაქციაში შემმნილია შტატგარეშე განყოფილებები, ბევრ გაზეთში მუშაობს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა საბჭოები.

უკანასკნელ წლებში მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები, ხალხთა მეგობრობის საკითხები გახდა წამყვანი, ძირითადი თემები ბევრი გაზეთისა და ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის მუშაობაში.

მომხსენებელი ლაპარაკობს პრესის ამოცანებზე ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის საქმეში, დაწვრილებით შეეხო ჟურნალისტთა კავშირის — ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა შემოქმედებითი ორგანიზაციის საქმიანობას.

დასასრულ მომხსენებელი აღუთქვამს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტები კვლავაც დიუმრეტელი ენერგიით იშრომებენ, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ გაამართლონ ლენინის დიადი პარტიის თანაშემწეთა მაღალი წოდება.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ **შ. ყარუარაშვილმა.**

მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

პარტიის XXII ყრილობამ, თქვა თავის სიტყვაში ჟურნალისტთა კავშირის აპარის განყოფილების თავმჯდომარემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა **რ. სირაძემ,** — უდიდესი ინტერესი და პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმის აზვირთება გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში. აჭარაში მომუშავე ჟურნალისტებს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნიეთ დაეკმაყოფილონ მკითხველთა გაზრდილი სულიერი მოთხოვნილებანი.

აფხაზეთის გაზეთების რედაქციებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXII ყრილობის მითითებებს, ამბობს ჟურნალისტთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, გაზეთ „აფსნი ყაპშის“ რედაქტორი **ნ. კიუტი,** მთავარი ყურადღება მიაპყრეს ამ ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების პროპაგანდას. გაზეთებმა გაფართოვეს პროპაგანდისტული გამოსვლების თემატიკა, მრავალფეროვანი გახადეს მათი ფორმები. ჩვენს საოლქო გაზეთებში შემოღებულია მეუმბივი რუბრიკა „სკკპ XXII ყრილობის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად“.

ყოველ გაზეთს თავისი კურსი, თავისი სახე, თავისი წამყვანი თემა აქვს — ამბობს გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ რედაქტორი **პ. ასლანიდი.** ჩვენი გაზეთისათვის მთავარი ამოცანაა ბრძოლა მშობლიური ქალაქის სილამაზისა, და კულტურისათვის, თბილისში გაკეთებული სახალხო მოხმარების საქონლის მაღალი ხარისხისათვის, ქალაქის სანიმუშო მეურნეობისათვის, მოსახლეობის საუკეთესო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ჩვენს რადიოგადაცემებსა და ტელეგადაცემებში, ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **პ. შამათავა,** ცენტრალური ადგილი უკავია მასალებს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის შესახებ, მასალებს მრეწველობისა და სოფლის მეურეობის დამკვრელთა გამოცდილების შესახებ.

ორატორი ჩერდება ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და მისი სექციების საქმიანობაზე, და აღნიშნავს, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში საკმარის ყურადღებას არ უთმობენ შემოქმედებითი ხელოვნების საკითხებს.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა **მ. დავითაშვილმა** თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, რესპუბლიკის ჟურნალისტებს დიდ ზოთბოდნეს უყენებს. ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში გაკრიტიკებულია ჩვენი რესპუბლიკა მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენისათვის. ჟურნალისტების მოვალეობაა დაეხმარონ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას დარაზმის სოფლის მშრომელები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოფლურმა, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლეგიურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეთ ლეილა **მაღულარიამ** ილაპარაკა სოფლურთა დიდ როლზე გაზეთების მუშაობაში.

ბევრი გაზეთისა და ჟურნალის რედაქციები ფართოდ აბამენ სარედაქციო მუშაობაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ქმნიან შტატგარეშე სარედაქციო განყოფილებებს. თუ რა სარგებლობა მოაქვს ასეთ პრაქტიკას, ამაზე ილაპარაკა საქალაქო გაზეთის „ქუთაისის“ რედაქტორმა **გ. მეფისაშვილმა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგემ პროფესორმა **დ. გამეზარდაშვილმა** ილაპარაკა ჟურნალისტთა ახალი კადრების მომზადების შესახებ.

კამათში გამოსული სხვა ორატორები შეეხერხდნენ პრესის მუშაობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის **გ. ჩიქვინძის** მოხსენება და დაამტკიცა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ბ. პ. ეროფეევმა.** იგი გულითადად მიესალმა ყრილობის დელეგატებს და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს პრესის მუშაკები — საბჭოთა ჟურნალისტების ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — აღმოჩნდებიან პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სიმაღლეზე, რწმენითა და სიმართლით ემსახურებიან ხალხს, კომუნისტურ პარტიას.



სურათზე: ყრილობის დარბაზში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეცნიერი ქალი

სპორტის სასახლის წინ, სადაც მუდამ დიდი მოძრაობაა, მილიციელის ყურადღებას მწვანე „მოსკვიჩი“ იპყრობს. რაშია საქმე? რატომ არის, რომ მანქანა მოედანზე მოხვევისას არც მარჯვენა მიმართულებას უჩვენებს და არც მარცხენას? საკვირველია!

ისმის სასტვენის ხმა. მწვანე „მოსკვიჩი“ შეჩერდა და ფანჯარაში ქალის სახენო, გაკვირვებული და ოდნავ აღელვებული სახე გამოჩნდა.

— ოქვენი საბუთები?! — კითხულობს მილიციელი და ეჭვის თვალით თვალიერებს მძღოლსა და საბუთებს. ბრიგადესორი... მილიციელს გაეღიმა.

— ქალბატონო ელენე, ნუ გავიწყდებათ მიმართულების ჩვენება, — უკვე დამტკბარი ხმით მიმართავს მას და საბუთებს უბრუნებს.

იმ დღეს მე და ელენე მცხეთიდან ვბრუნდებოდით, სადაც დ. ი. მენდელეევის სახელობის საზოგადოების ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით მოგვიხდა წასვლა. იმდენად გავერთეთ ქიმიის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრით, რომ ორივეს დაგვიგვიანდა ჩვენი ადგილსამყოფელი და მით უმეტეს მოძრაობის წესების დაცვა.

მართლაც, ვინც კი პროფესორ ელენე ნანობაშვილს იცნობს და მასთან ცოტა ხანს მაინც უსაუბრია, არ შეიძლება არ გადაედოს ის დიდი ენთუზიაზმი, ენერგია და შინაგანი ცეცხლი იმ სულიერი გრძნობისა, რომელსაც იგი ქიმიის მეცნიერების საკითხებზე მსჯელობისას ამეღვნებს.

ელენე ნანობაშვილი უბრალო, სადა, კეთილი და ნამდვილად მდიდარი სულის პატრონია. მასში შესანიშნავად შერწყმულია ადამიანის მორალურ თვისებებთან ერთად მეცნიერისა და მკვლევარის ნიჭი.

საყურადღებო თარიღები ელენე ნანობაშვილის ცხოვრებაში ბევრია.

1939 წელს წარჩინებით დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. ეს ხომ პირველი სასახარულო თარიღია და პირველი საგზურია ცხოვრებისა და მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

1945 წელს უკვე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატია.

1948 წელს მოვლინებულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაციაზე სამუშაოდ.

1951 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რადიაციული ქიმ

ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ...

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 7 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

პრესაში, რადიოსა და ტელევიზიის უკანასკნელ ცნობათა გადაცემებში ფართოდ აშუქებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სოფლის მეურნეობის საკითხებზე, აგრეთვე პლენუმის სხვა მონაწილეთა გამოსვლებს.

მსხვილ მონოპოლიათა პრესა სავსებით გასაგები მიზეზების გამო ღვარძლიანად წერს ნაკლოვანებებზე, რომლებიც აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში, და აფუჩეჩებს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის უდავო წარმატებებსა და სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების აღმავლობის უახლესი წლების გრანდიოზულ გეგმებს.

მაგრამ ბურჟუაზიული კრიტიკოსები და არაკეთილმოსურნენი სუსტ პოზიციებს ადგანან.

წლითიწლობით ჭარბწარმოების კრიზისი ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში სულ უფრო ღრმავდება, ამერიკელ ფერმერთა შემოსავალი ამის შედეგად განუხრელად მცირდება, ათეულ და ასეულ ათასობით გაკოტრებული ფერმერი „ზედმეტი“ ხდება სოფლის მეურნეობაში და ემატება უმუშევართა მრავალმილიონიან არმიას.

ამერიკის შეერთებული შტატები მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა, აღნიშნავს დღეს თავის წერილში გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ მკითხველი ე. დილონი (ქალაქი ვაშინგტონი). სასოფლო რაიონებში ახლა ძალიან ბევრი ფერმერია, ხოლო ქალაქებში — ძალიან ბევრი მუშა.

ე. დილონს აწუხებს საკითხი, თუ რა უყონ ამ „ზედმეტ“ ადამიანებს, რომლებსაც ავტომატიზაციამ და ტექნიკურმა პროგრესმა დააკარგვინა სამუშაო და არსებობის საშუალება. გაკოტრებული ფერმერი, როგორც წინათ, ვერ გაეშგზავრება ქალაქებში სამუშაოს საძებნელად, რადგან იქ მილიონობით უმუშევარია, ხოლო უმუშევარი მუშები ამაოდ ეძებენ სამუშაოს სოფლებში.

პარიზი, 8 მარტი. (საკდესი). პარიზის პრესა კვლავ აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

გაზეთი „ლუმანიტე“ თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ არასდროს არ დაუყენებიათ ასეთი ძალით სოფლის მეურნეობის საკითხები.

გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამუამად ითვალისწინებს ყველა ღონისძიებას, რომლებიც შესაძლებელს გახდიან სწრაფად და საბოლოოდ გადაიჭრას სოფლის მეურნეობის პრობლემები საბჭოთა კავშირში.

ცნობები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ დაბეჭდეს აგრეთვე გაზეთებმა „ფიგარომ“, „ორორმა“ და „ლიბერასიონმა“.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘ, 8 მარტი. (საკდესი). როგორც აქ გამოიტყვა, სსრ კავშირის საელჩომ ბირმის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა პასუხი ბირმის მთავრობის, რომელსაც პარმიერ-მინისტრი ნე ვინი მეთაურობს, 3 მარტის ნოტაზე ბირმის კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. სპასუხო ნოტაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს და განავითაროს მეგობრობისა და თანამშრომლობის არსებული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ბირმის კავშირს შორის.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ — Პ. ᲑᲔᲜᲙᲝ-Ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 8 მარტი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი საერთაშორისო ოსტატი **ᲚᲔᲕ ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲘ** ტელეფონით გვატყობინებს:

თქვენთვის უკვე ცნობილია სტოკჰოლმის საზონთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გამარჯვებულთა ხუთეული. მეექვსე პრეტენდენტის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

როგორც ვიუწყებოდით, ამ ადგილისათვის ერთმანეთს უნდა შეეცილონ იუგოსლავიელი გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი პ. ბენკო და საბჭოთა მოჭადრაკე ლ. შტეინი. ამათგან ექვსეულში გასვლის შანსები მხოლოდ ს. გლიგორიჩსა და პ. ბენკოს აქვთ, რადგან საბჭოთა მოჭადრაკეებმა მათთვის დებულებით განკუთვნილი სამი ადგილი უკვე დაიკავეს.

დანარჩენ მოჭადრაკეებს ბედმა არ გაუღიმა. სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: მეცხრე და მეათე ადგილები თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულით გაიყვეს ლ. პორტიშმა (უნგრეთი) და ვ. ულმანნმ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილები — ისლანდიელმა ფ. ოლაფსონმა და ესპანელმა ა. პომარმა (თორმეტ-თორმეტი ქულა). მეცამეტე ადგილზე გამოვიდა ი. ბოლბოჩანი (არგენტინა, 11,5 ქულა).

ბ. ბარცასა და ი. ბილეკს (ორივე უნგრეთიდან) თერთმეტ-თერთმეტი ქულა აქვთ, ა. ბისპაიერს (ამერიკის შეერთებული შტატები) — 9,5 ქულა, ა. იანოვსკის (კანადა) და მ. ბერტოკს (იუგოსლავია) — 7,5 ქულა თვითეულს, ე. ბერმანსა (ბრაზილია) და ხ. ფვებერს (არგენტინა) — შვიდ-შვიდი ქულა, რ. ტეშნერს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — 6,5 ქულა, მ. კუელარს (კოლუმბია) — 5,5 ქულა, მ. აბრონს (ინდოეთი) — 4 ქულა.

დღეს სტოკჰოლმში საზეიმოდ დაიხურა საზონთაშორისო ტურნირი. გამოცხადდა შედეგები, მოჭადრაკეებს გადაეცათ პრიზები. ლამაზი პარტიებისათვის პრიზები გაინაწილეს ვ. კორჩნოიმ და რ. ფიშერმა მ. ფილიპთან და ი. ბოლბოჩანთან გათამაშებული პარტიებისათვის. სპეციალური პრიზი გადაეცა აგრეთვე ლ. შტეინს.

გადაწყდა, რომ მეექვსე პრეტენდენტის გამოსავლენად აქვე მოეწყოს დამატებითი ტურნირი ლ. შტეინსა, ს. გლიგორიჩსა და პ. ბენკოს შორის ორ წრედ. ტურნირი დაიწყება 9 მარტს. წილისყრის შედეგები ასეთია: 1. ს. გლიგორიჩი, 2. პ. ბენკო, 3. ლ. შტეინი.

9 მარტს შედგება პირველი ტური. ერთმანეთს შეხვდებიან პ. ბენკო და ლ. შტეინი. დამატებით ტურნირში გამარჯვების შემთხვევაში ლ. შტეინს უფლება ეძლევა იყოს პრეტენდენტთა ტურნირის კანდიდატი საბჭოთა მოჭადრაკეებიდან.

პრეტენდენტთა ტურნირის დაწყებამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩა. მონაწილეთა უმრავლესობა გადაიჭანცა და ესაჭიროებათ დასვენება, ენერგიის აღდგენა.

შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი სტოკჰოლმიდან უკვე გაემგზავრა სამშობლოში. საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაცია ლ. შტეინისა და ი. ბოლესლავსკის გარდა 10 მარტს მოსკოვში გამოემგზავრება.

ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 8 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს 18 ქვეყნის ენერგიის მომავალი მოლაპარაკება განიარაღების შესახებ მიაჩნია „ფრიად დიდმნიშვნელოვნად“ და რომ ამერიკის დელეგაცია მიემგზავრება ჟენევაში, რათა სცადოს მიაღწიოს შეთანხმებას. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა პრეზიდენტმა, რომ ეს შეესაბამება შეერთებული შტატების ინტერესებს და მთელი მსოფლიოს უშიშროების ინტერესებს.

პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატების დელეგაცია ჟენევაში მიემგზავრება გულწრფელი სურვილით მიაღწიოს შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან.

პრეზიდენტმა კენედიმ აშკარად გამართლა თავისი უარი, რომ სხვა მთავრობათა მეთაურებთან ერთად პირადი მონაწილეობა მიიღოს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობაში, და გამიეორა თავისი ძველი თეზისი, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს თათბირში უმაღლეს დონეზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება გარკვეული პროგრესი მოლაპარაკებაში.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა პრეზიდენტ კენედის, თუ როგორ ეკიდებიან შეერთებული შტატები წინადადებებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნისა და იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია შეიზღუდოს ატომური იარაღის მფლობელი ქვეყნების რიცხვი.

შეერთებულ შტატებს, თქვა კენედიმ, მიაჩნიათ, რომ სასურველი იქნება მიღწეულ იქნას ერთგვარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ ატომური იარაღი ერთმა ქვეყანამ გადასცეს მეორეს. რაც შეეხება უატომო ზონებს, განაგრძო პრეზიდენტმა, ეს საკითხი საჭიროა შევისწავლოთ, და, როგორც იგი ფიქრობს, ეს საკითხი ბევრ სხვა საკითხთან ერთად განხილულ იქნება მომავალ მოლაპარაკებაზე განიარაღების შესახებ ჟენევაში და სხვა მოლაპარაკებათა დროს.

პრეზიდენტმა კენედიმ განაცხადა, რომ თუ განიარაღების შესახებ ჟენევის მომავალი მოლაპარაკების დროს განხილულ იქნება აგრეთვე ბერლინისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის საკითხი და თუ შესაძლებელი იქნება რაიმე პროგრესის მიღწევა ამ საკითხებზე, იგი მხარს დაუჭერს ასეთ განხილვას. „ეს, რა თქმა უნდა, არ შედის განიარაღების შესახებ კონფერენციის ამოცანებში, — თქვა კენედიმ, — მაგრამ, რა თქმა უნდა, განხილულ უნდა იქნას ყოველი ღონისძიება, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ურთიერთობა ბერლინში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ან ყოველი მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს ვითარების გაუმჯობესებას. ეს სავსებით ცხადია, და ჩვენ არ უნდა გავუშვათ არც ერთი შესაძლებლობა“.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ

□ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 მარტი. (საკდესი). კორნეულის საგრაფოში, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში ორი ქალაქი — პენზანსი და ნიულინი გუშინ დილით დაიტბორა მას შემდეგ, რაც ძლიერი ქარით გამოწვეულმა არაჩვეულებრივად დიდმა მოქცევამ გაარღვია ჯებირი. ზოგიერთ ადგილას წყლის დონემ 120 სანტიმეტრს მიაღწია.

წყალმა ჯებირი გაარღვია სენტ-მერისის კუნძულზე (სილის კუნძულების ჯგუფი ატლანტის ოკეანეში (40 მილზე კორნუელის დასავლეთით) და ნორმანდიის კუნძულებზე სენტ-პიტერ-პორტის მახლობლად. გუშინ საღამოს მთელ სამხრეთ-დასავლეთ ინგლისს კვლავ მოელოდა წყალდიდობის სერიოზული საფრთხე.

□ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშეიეტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა არგუელიოს პოლიგონიდან რაკეტის „ატლას-აგენის“ დახმარებით ორბიტაზე გაუშვეს დედამიწის თანამგზავრი. გაშვების მიზანი აღნიშნული არ არის.

ᲛᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲥᲐᲠᲘᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲕᲐᲚ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲡᲐᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲐ

1936 წლის 3 სექტემბერია. ეს დღე ჩვეულებრივად დაიწყო. თბილისის „დინამო“ ვარჯიშობდა უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდებთან შერკინების წინ. გულშემატკივრები განსაკუთრებით ღელავდნენ: შეძლებს თუ ვერა მათი გუნდი, რომელიც ეს-ეს არის „ა“ ჯგუფში გადავიდა, ღირსეულად გამოვიდეს ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო.

თბილისის „დინამო“ უცვლელად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის პირველობებსა და თასის გათამაშებაში. მდიდარი ტრადიციების მქონე ახალგაზრდულ, ტემპერამენტიან, მაღალტექნიკურსა და მეტად აგრესიულ დინამოელთა კოლექტივს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში იცნობენ. მაყურებელმა ისინი შეიყვარა ლამაზი, ეცვლოვანი თამაშისათვის. დღეგანდელ ყველაზე გამოჩენილ საბჭოთა ფეხბურთელთა სია დამშვენებულია „მფრინავ“ სერგო კოტრიკაძის, გვერდაუვლელ გივი ჩოხელის, დრიბლინგის ვირტუოზ შოთა იამანიძისა და „ფინტების მეფის“ მიხეილ მესხის სახელებით.

ჩვენი ყველაზე უძლიერესი ფეხბურთელები შეჯავალილი არიან სსრ კავშირის ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებენ მეშვიდე მსოფლიო პირველობაზე, რომელიც მაის-ივნისში გაიმართება ჩილეში. ასე რომ თბილისის „დინამო“ მომავალი ჩემპიონატის პირველი წრის მატჩების უმრავლესობას ჩაატარებს ისე, რომ გუნდში არ იქნებიან უძლიერესი მოთამაშეები. თუმცა გუნდის ხელმძღვანელობას ეს არ აშინებს.

ჩვენ ტყუილად არ დავიწყეთ ეს წერილი წარსულის ერთი სურათის ჩვენებით. თუ კი მაშინ გულშემატკივრები განსაკუთრებით ღელავდნენ, წელს ეს ღელვა კიდევ უფრო აზვირთდა. ბოლოს და ბოლოს აიღებს თუ ვერა თბილისის გუნდი იმ ადგილს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, რომელიც მას ბემმარიტად ეკუთვნის.

დინამოელები სავარჯიშოდ თებერვლის პირველ რიცხვებში გამოვიდნენ. ამინდი ვარჯიშს ხელს უწყობდა. იმათაც მინდორს, სუფთა ჰაერს მიაშურეს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაკრების წევრთა ღირსეული ცვლის მომზადებას, — ამბობს გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე. გ. ხოხელი ჭაბუკი მურთაზ ხურცილავა შეცვლის. ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობანი ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობისას გამოამჟღავნა. მ. ხურცილავა სისწრაფით, გამძლეობითა და ენერგიით გამოირჩევა. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ იმდენს მუშაობს თავის თავზე, რომ გვჯერა გაამართლებს გულშემატკივართა და თანაგუნდელთა იმედებს. მარჯვენა მცველად ბ. სიჭინავა იქნება, ხოლო მარცხენა მცველად — გ. ხოჭოლავა. რაც შეეხება ნახევარდაცვასა და თავდასხმას, აქ „დინამოს“ შესანიშნავი ანსამბლი ჰყავს: ა. ხელაძე, გ. სიჭინავა, ი. დათუნაშვილი, ჯ. ზეინკლიშვილი, ზ. კალოევი, თ. მელაშვილი, ვ. ბარქაია, დ. ხუნდაძე და სხვ. ცოტა „მოიკოჭლებენ“ სათადარიგო მეკარეები, მაგრამ სათანადო ვარჯიშის შემდეგ ალბათ კარის სიმედო დამცველიც გვყოლება. ისე კი მათგან ჯერჯერობით ყველაზე უკეთ რ. კვასხვაძე გამოიყურება.

წინა პლანზეა ფიზიკური ვარჯიში, რომლის სავალდებულო პროგრამაშიც შეტანილია ცურვა, ძალოსნობა და აკრობატიკა. ფიზიკურ დატვირთვას მოთამაშენი დილის საათებში გადიან, დღისით ეწყობა ორმხრივი თამაში, ხოლო საღამოობით ფეხბურთელები ინდივიდუალურად მუშაობენ ბურთზე.

ჩვენ ვნახეთ ორი საწვრთნელი მატჩი გუნდის ძირითად და სათადარიგო შემადგენლობას შორის. ორივე შეხვედრა დინამოელთა ძირითადი შემადგენლობის გამარჯვებით (7:2 და 4:3) დამთავრდა. პირველ შეხვედრაში გამარჯვებულნი ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი. ნაკრების წევრთა გარდა კარგ სპორტულ ფორმაში არიან დათუნაშვილი, ხელაძე, ზეინკლიშვილი, ხურცილავა, მელაშვილი, კალოევი და გ. სიჭინავა.

გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად წვრთნას ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა გადის. მათ საკონტროლო მატჩების დროს გავსინჯავთ, — ამბობს ა. ღოღობერიძე. თუ რომელი მათგანი დაიკავებს ადგილს ჩვენი კოლექტივის შემადგენლობაში, ამას მომავალი გვიჩვენებს. განზრახულია გვაქვს მოვაწყოთ შეხვედრები რუსთაველის „მეტალურგთან“ (ეს შეხვედრა ხვალ გაიმართება რუსთავში), კიევისა და მოსკოვის დინამოელებთან, ცსკასთან, თბილისის „ლოკომოტივთან“... ეს შეხვედრები დიდ სამსახურს გაგვიწევს გუნდის წევრებს თამაშის შეწყობაში, ტაქტიკური ალღოს გამომუშავებაში.

არც გულშემატკივრებს და, რაც მთავარია, არც ფეხბურთელებსა და გუნდის ხელმძღვანელობას მარშან მოპოვებული მეშვიდე ადგილი არ აკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია პირველ რიგში ფინალურ ექვსეულში მოვხვდეთ, შემდეგ კი ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ვიბრძოლოთ. ვფიქრობთ წელს ფრთას შევასხამთ ჩვენს სანუკვარ ოცნებას, — დაასრულა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა.

...კარგა ხანია მიწყნარდა დიდი საფეხბურთო ბრძოლების ხმაური. სიჩუმეა ფეხბურთის წრეებში, სიჩუმე დროებითი, საიდუმლოებით მოცული. ასეა ყოველთვის ქარიშხლის წინ. ხოლო ეს ქარიშხალი მაისში ამოვარდება და ვაი იმას, ვისაც მოუმზადებელს მოუსწრებს.

Ვ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ მარცხნივ) თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ა. ღოღობერიძე; (ქვემოთ) ვარჯიშობს თბილისის „დინამო“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲕᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲘ ᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ

ᲒᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ. 8 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ერთი დღის შესვენების შემდეგ გაკურიანში სპორტული პაექრობა განახლდა. ამინდი შესანიშნავია.

დილადანვე კოტაგორის მიდამოებში დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი, ლამაზად იყო გაფორმებული სწრაფფლიანების სტარტი და ფინიში. დისტანცია 1.680 მეტრს შეადგენდა, მასზე დადგული იყო 27 კარი.

დღეს აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ქალები, გოგონები და ჭაბუკები. ამ შეჯიბრებას ახალ ჩემპიონებთან ერთად უნდა გამოევლინა გამარჯვებულები სამქიდში.

48 ქალი მონაწილეობდა სწრაფფლიანებში. უმრავლესობამ წარმატებით გაიარა დისტანცია, შედეგები კარგია.

სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში გამარჯვება და ჩემპიონობა ხვდა ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ სპორტსმენს **ს. კორზუხინას** (რსფსრ), რომელმაც აჩვენა დრო — 1 წუთი და 32,6 წამი. მომდევნო სპარზო ადგილები დაიკავეს **ე. კაბინამ** (მოსკოვი, 1 წუთი და 35,8 წამი) და **ლ. ვოლკოვამ** (მოსკოვი, 1 წუთი და 36,1 წამი).

საქართველოს წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა **ლიანა გოგოლაძემ** მეხუთე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრების შემდეგ შეჯამებულ იქნა სამქიდის შედეგები. მეორე ოქროს მედალი მოიპოვა **ს. კორზუხინამ.** მომდევნო სამი ადგილი თანმიმდევრულად ასე განაწილდა — **ა. არტიომენკო, ლ. ვოლკოვა, ლ. გოგოლაძე.**

სწრაფფლიანებში გოგონათა შორის წარმატებას მიაღწია ლენინგრადელმა სპორტსმენმა **ა. ივანოვამ** (1 წუთი და 44,7 წამი). მანვე პირველი ადგილი დაიკავა სამქიდში.

ჭაბუკთა ასპარეზობაში უძლიერესი იყო **ვ. ჰეინი** (რსფსრ, 1 წუთი და 36,2 წამი). მომდევნო ოთხი ადგილი დაიკავეს **ა. პროკოფიევმა, ვ. კრესტოვმა, ვ. ალაბუტერდიევმა** და **ა. კახიანმა.** სამქიდში ჩემპიონი გახდა **ვ. კრესტოვი.** მესტიელი **ბ. კახიანი** მე-9 ადგილზე გამოვიდა.

9 მარტს დილით შედგება შეჯიბრება სწრაფფლიანებში ეაეთათვის.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა მეოთხეფინალური მატჩი კალათბურთში ვაეთა გუნდებისათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ჩეხოსლოვაკიის „ისკრას“ გუნდები. გაიმარჯვა ცსკა-მ ანგარიშით 85 : 55.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მატჩი კალათბურთში ვაეთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ კიევის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 76:64.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. მატჩის შედეგია ფრე — 2 : 2.

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲒᲖᲔ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ. 8 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). უკვე რამდენიმე დღეა სვერდლოვსკში ამინდი მკვეთრად შეიცვალა, წვიმს. ამან გავლენა იქონია პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრათა ჩატარებაზე, სპორტულ ძაჩვენებლებზე.

მიუხედავად ამისა, დღეს შედგა შეჯიბრება სათხილამურო ესტაფეტაში 4×10 კილომეტრზე ვაეთა შორის. ჩემპიონობა მოსკოველებმა მოიპოვეს. მათ დისტანცია 2 საათში 31 წუთსა და 51 წამში გაიარეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის გუნდი, მესამეზე ესტონეთის მოთხილამურეთა კოლექტივი. საქართველოს გუნდმა მეცხრე ადგილი დაიკავა. დრო — 2 საათი, 53 წუთი და 4 წამი.

ვაეთა შორის ფიგურულ ციგურაობაში ოსტატთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოველმა **ვ. ბეშკოვმა.**

საერთო მაჩვენებლებით სპარტაკიადის ლიდერია მოსკოვის გუნდი. მეორე და მესამე ადგილებზე არიან რსფსრ და ლენინგრადის გუნდები. საქართველოს გუნდს მე-7 ადგილი უკავია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადის ჩემპიონები. მარცხნიდან — ი. ვორონინა, ვ. კოსიჩკინი და ვ. პოგრებნაია.

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ

წყალქვეშაფრთიანი რამდენიმე სწრაფმავალი კატერი გაუგზავნეს ქართველმა გემთმშენებლებმა ბათუმიდან კუბელ მეგობრებს. ერთ-ერთი კატერი — „ვოლგა“ განკუთვნილია პირადად ფიდელ კასტროსათვის.

გემებთან ერთად კუბაში გაემგზავრა ბათუმის ქარხნის წარმომადგენელი ევგენი ფილიჩევიც. ამ დღეებში მან თავის ამხანაგებს გამოუგზავნა წერილი:

„როცა კატერი წყალში ჩაუშვეს და იგი ძარავით გაქანდა, კუბელები აღტაცებული დარჩნენ. შემდეგ ფიდელ კასტროსთან ერთად ჩვენ რამდენიმე მილი გავიარეთ „ვოლგით“. ჩვენს გვერდით შესადარებლად მიცურავდა მისი წინანდელი კატერი. „ვოლგამ“ მას ერთნახევარი მილით გაუსწრო“.

საქართველოში აგებული წყალქვეშაფრთიანი კატერები ახლა საზღვარგარეთაც არის ცნობილი. იტალიასთან დადებული ხელშეკრულებით 1962 წლის აპრილამდე იქ ცხრა ასეთი გემი გაიგზავნება. უახლოეს ხანში ფრთოსან გემებს მიიღებენ ჩეხოსლოვაკია, განა და სხვა ქვეყნები. 1962 წელს გემთმშენებლები გააორკეცებენ კატერების გამოშვებას საერთაშორისო ბაზრისათვის.

სააგენტო „ახალი ამბები“.

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲐᲤᲡᲝᲓᲘᲐ“

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲛᲐ Შ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲐᲠᲕᲐᲠᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ